საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდია რენე ვლადიმერის ძე

კალანდია რენე ვლადიმერის ძე (25. VII. 1944, ზუგდიდი, – 28. III. 2014, იქვე), პოეტი. 1961-იდან ცხოვრობდა ქ. სოხუმში. 1963–67 მსახურობდა სამხ.-საზღვაო ფლოტში. 1968–73 სწავლობდა სოხუმის მ. გორკის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში ფილოლ. ფაკ-ტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთებისა და ალმანახ „რიწის" რედაქციებში. იყო სოხუმის - რადიოს კორესპონდენტორგანიზატორი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1966. პირველი პოეტური კრებული „ხსოვნის ყვავილი" გამოსცა 1971. ავტორია კრებულებისა: „კონცერტი" (1975), „გამოფენა" (1977), „სეზონის დახურვა" (1979), „ოთხი სიმის ოთხი სხივი" (1981) და სხვ. კ. თარგმნიდა XX ს. ფრანგი, პოლონელი, ლიტველი პოეტების ნაწარმოებებს. მისი პოეზია თარგმნილია ლიტვურ, უკრაინულ, რუს., სომხ., აფხ. და სხვ. ენებზე. 1998 მიენიჭა გ. შერვაშიძის სახ. სახელმწ. პრემია. კ. დაკრძალულია ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის პანთეონში.